



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 515

05/02/2020

515-09-2-202002051559



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პროექტი მომზადებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის 2020 წლის 3 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, „შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფუნქციებისა“; „შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, კერძოდ, შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, იმისთვის რომ არ დაირღვეს სამსახურის დამოუკიდებლობისა და

ობიექტურობის პრინციპი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის“ და „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის მიზნით შესაქმნელი კომისიების შემადგენლობიდან ამოვიღოთ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 148

03/02/2020

148-09-3-202002030939



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის
მამუკა ვადაჭკორიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,


გაცნობებთ, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი ფიგურირებს ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის, ბრძანების, საფუძველზე შესაქმნელი კომისიის წევრთა შემადგენლობის ჩამონათვალში.

ასევე გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა“, ხოლო იმისათვის, რომ არ დაირღვეს სამსახურის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის უმთავრესი პრინციპი, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს განახორციელოს სათანადო ღონისძიებები რათა შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი ამოირიცხოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილების დანართის
მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომისიის წევრთა შემადგენლობიდან.

პატივისცემით,

მამუკა ვადაჭკორია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2020 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების
გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 29/01/2020; სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016417) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი/მთავარი სპეციალისტი (მხოლოდ „მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში) და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

**„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების
გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2020 წლის მარტამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).